თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 21

„15“ ნოემბერი 2018 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი, ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე არჩილი თვალიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე.
საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სოფიო ოხანაშვილი.
მოქალაქეები: არჩილ მჭედლიშვილი, მაკა მოსიაშვილი.

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

<u>1.მოისმინეს:</u> მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> გ.ჩაბრაშვილმა, დ.ღაღანიძემ, გ.ორკოდაშვილმა

ა.თხლაშიძემ აღნიშნა, რომ მერიიდან შემოსულია ოთხი პროექტი, რომლებიც ეხება მუნიციპალიტეტის ქონებას და ქონების შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის ვადის გაგრძელებას. ამიტომ, მიზანშეწონილია მათი განხილვა მოახდინოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ. სურვილის შემთხვევაში კი ნებისმიერმა სხვა კომისიამ და ფრაქციამ.

<u>გადაწყვიტეს:</u> მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტები:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობელთა კავშირი ლამპარისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „ქალაქ თელავის №9 საჯარო სკოლისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

4. ლევან გალუსტიანის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

განიხილოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე